საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№904 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტს/პარლამენტის აპარატს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სსიპ - საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კომპეტენციის ფარგლებში სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.“.

2. განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებების მე-3 გრაფას დაემატოს პასუხისმგებელი უწყებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ოფიციალური მიღების ორგანიზების უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი/პარლამენტის აპარატი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**